



572
1984

ISSN 0132-5865
616-211033

036000 № 6

ՀԱՅԿ





იენისი

- 1—ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე.
- 5 — გარემოს დაცვის მსოფლიო დღე.
- 22 — დიდი სამაშულო ომის დასაწყისი.
- 24 — საბჭოთა ახალგაზრდობის დღე.

პირველი იენისი ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე

პირველი იენისი—ზაფხულის პირველი დღე— ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეა. ასე გადაწყვიტა ქალთა საერთაშორისო დემოკრატიულმა ფედერაციამ 1949 წლის ნოემბერში. ამ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა ახალგაზრდობის მსოფლიო დემოკრატიულმა ფედერაციამ და პროკავშირების მსოფლიო ფედერაციამ.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ მსოფლიოს ქალებმა ასეთი ფიცი დაეს:

„... ჩვენ საბუნიოდ ვფიცავთ, რომ ვიბრძობებთ ჩვენი ბავშვებისა და მომავალი თაობების ბედნიერი და ჰარმონიული განვითარებისათვის



სატირო პირობების შესაქმნელად. ჩვენ საბუნიოდ ვფიცავთ, რომ ვიბრძობებთ მშვიდობისათვის მთელ მსოფლიოში, რადგანაც ესაა ჩვენი ოჯახების ბედნიერების და შვილების კეთილდღეობის ერთადერთი გარანტია“.

1 იენისს მთელი მოწინავე კაცობრიობა მხურვალედ გამოხატავს თავის კეთილშობილურ მისწრაფებას, დაიცავს ბავშვები შიმშილისა და ავადმყოფობისაგან, უმეცრებისა და რასობრივი სიძულვილისაგან, შიშისა და შეურაცხყოფისაგან, ომის საშინელებისაგან.



მწვერვალის სიასლოვეს

ფერდობზე დაუფერებელი სისწრაფით მოქრის ადამიანი, თოვლის ბუქს აყენებს; ზოგჯერ გაშლილი ზამბარასავით აისხლიტება და ირმის ნახტომით გადაველება ბორცვაკებს... ანდა იქნებ ეს ზღაპრული რაში მოფრინავს თოვლში...

სულმეგუბებული შეცქვიერთ ამ სანახაობას... ის კი, ვისაც თვითონ გამოუცდია ამ თავბრუდამხვევი სისწრაფის, ამ ფრენის სიხარული, როცა ქარი მშუილით სცემს მას სახეში, — თითქოს სისწრაფეში ეჯიბრება, ფხას უსინჯავს ქარს — არა, მეო! მე გაჯობებო!

თხილამურებით სრიალის გემო საქართველოში ყველამ კარგად იცის! თხილამურების ყველა მოყვარულისთვის ნაცნობი და საყვარელი ადგილია ბაკურიანი. ახლა კი ჩვენში სამთო-სათხილამურო სპორტის ახალი ცენტრი გაიხსნა და უკვე პირველი შეჯიბრებაც მოეწყო — „გუდაურის გაზაფხული-84“.

კი მაგრამ, იტყვიეთ თქვენ, სად ზამთრის სპორტი და სად გაზაფხული! საქმე ის არის, რომ 2 200 მეტრის სიმაღლეზე, სადაც გუდაური მდებარეობს, გაზაფხულის მზეც კი უძღურია გაადნოს 1,5-2 მეტრი სისქის თოვლი. ამიტომ აქაური გაზაფხული ზაფხულამდე თოვლიანია.

...ეს ადგილი რამდენიმე წლის წინ შეიგულებს დიდი სპორტული სადგურის ასაგებად, და უცხოელ თუ საბჭოთა საქციალისტებს — ყველას სჯერა, რომ აქ შეიძლება მთელი მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო სამთო-სათხილამურო ცენტრის მოწყობა, რადგან



შახტბარი ბავსო სიდაზუელი

გ. მარკუშის ხატ. სპ. სსრ, საქართველო, თბილისი.

ჩინგუა

ბილეთებზე რიგია,
 მკლის და კურდღლის რიგია,
 მელა შიშის ცხსცხსით
 მთელ არენას გასმასის:
 ბაჭკეუნ-ბაჭკა,
 მურცქვიტა და ჰრანჭია
 ბრჭყალსე ბრჭყალებს ილენსეს,
 ძგელს დაძრობს კბილებს.
 გესმით?
 მუშტებს ბაჭისას
 ბრჯაბრუეი რომ გაუდის?
 სულ ცოტაც და
 მგელს ბაჭია
 ძირს დაგდებს ნაკაუტით.
 ეველაფერი დაწუება
 აურძალული თაურიდან,
 — ბაჭიამ რომ გაივანა —
 რინგზე გული წაუვიდა,
 მელაკუდა გაიმურწა
 მსუცუნების აულიდან.

გუდაურს საამისოდ ძალიან ხელსაყრელი მდებარეობა აქვს — ჯერ ერთი, ვაშლილი ადგილზეა, ტყეების ზემოთ — ალბიურ ზონაში, მეორე — აქ ზაფხულის საძოვრებია და, ბალახის საფარი კი ძალიან საჭიროა კარგი სათხილამურო ბილიკების მოსაწყობად — თურმე ვეროპის ქვეყნებში სათხილამურო ტრასების მომწყობნი საგანგებოდ თესავენ ბალახს — ზედ რომ დაათოვს, თოვლი უნდა დაიტკეპნოს, და ტრასა მზად არის!

ახლა ბუნებრივი პირობები! როცა აქედან 4-5 კილომეტრის მოშორებით ძლიერი ქარია, გუდაურის ფერდობებზე მხოლოდ ნიაკი ქრის.


გუდაურში გამართული პირველი შეჯიბრების დროს სტუმრებს 100 ადგილიანი სასტუმრო და 1100 მეტრი სიგრძის ბაგირგზა დახვდათ. სულ ხუთი-ექვსი წლის შემდეგ მათსამდე კაცი შეძლებს აქ დასვენებას. კიდევ გავა დრო და 30 ათასამდე ადამიანის მიღება შეეძლება აქაურ სასტუმროებს, გუდაურის ფერდობებზე კი 10 ათას მოთხილამურეს ერთდროულად შეეძლება ვარჯიში. ყველაზე მთავარი კი ის არის, რომ აქ შესაძლებელი იქნება გაიმართოს საერთაშორისო მნიშვნელობის შეჯიბრებები.

გასულ საუკუნეში ცნობილი ფრანგი მწერალი ალექსანდრე დიუმა-მამა კავკასიაში მოგზაურობის შემდეგ წერდა: „მთელს საქართველოს სამხედრო გზაზე არ არის ადგილი უფრო მომხიბლავი თვისი სილამაზითა და შთაბეჭდილებათა მრავალფეროვნებით, როგორც დაღმართი გუდაურიდან მლეთამდე. კავკასიონის თოვლიანი მწვერვალები თითქოს უშუალოდ თქვენს მხრებს უკან აზიდულან და ისე ახლო და თვალნათლივ იგრძნობიან, რომ სურვილი გაქვს ხელით შეეხო“.

კავკასიონის ბრგე, ამაყი იერი და აქა-იქ ამოზიდული თოვლიანი მწვერვალები — მართლაც რა მშვენიერებაა! მაგრამ ყველაზე მშვენიერი, ყველაზე მიმზიდველი, ყველაზე მაღალი აქ — მყინვარწვერია — მყინვარწვერი, რომელიც საქართველოს სიმბოლოდ მიგვარჩნია; რომლის გამოსახულება ამშვენებს საქართველოს გერბს. მის სიახლოვეს არ შეიძლება გულმა მწვერვალისაკენ არ გაუწიოს ადამიანს. და ვინ იცის, იქნებ გუდაურში, მყინვარწვერის სიახლოვეს აღიზარდონ ისეთი სამთო მოთხილამურეები, რომლებიც კიდევ ერთხელ საქვეყნოდ ასახელებენ ჩვენს პატარა სამშობლოს. ჩვენ გვჯერა, რომ, ქართველი გოგო-ბიჭები ეცდებიან ხელი მიატანონ მწვერვალებს!

გზა მშვიდობისა!





დიდა მშვიდობისა

ვისაც სიყვარულით ჩაუვლია,
ვისაც დაუსასვას მიზანი,
ვისაც საკუთარი მამული აქვს,
მისი ლამაზმანიც ის არი.
ქვეყნის სამშეოდ და სახანთელოდ
მართლა ფირუშობ და აღმასობ,
დიდა მშვიდობისა, საქართველო,
ეველა სამშობლოზე ლამაზო.




ყვადან თაჰის როზაკვი ჰყავს



შორს შიშავალ
მგელს და კურდღელს
გაბატანეს ქადა საგზელად,
მგელმა ქადას
დრუხნი გაჭკრა
და კურდღელი გადანახნდა.
გზაზე დათვი შეეფეთა,
უთონა:
შირონს რათა შლით?
გადაუღაჟულ კურდღლიანა
გადაუძეა ხასპიო.

მაგრამ ბედზე მონადირე
ტყეში გაჩნდა იმწამსვეო,
დათუნიას
თოფი დაჭკრა—
გაბატონს მიწასეო.
დაინსამეთ,
დაიწერეთ,
ხალსო, გულისთეიცაზზეო,
მეგელას თაჰის მომრევი ჰეგეს
ცოდვილ დედამიწასეო!



მხატვარი ნანა ვარლუღია

ქარი რომ უბერავდა და თან ფვივდა

გაბაზ ინანიშვილი

დიდი ხნის წინათ, ორმოცდაათზე მეტი წლის წინათ, ქარი უბერავდა, თან წვიმდა... ჩვენ კიდეც, ტოლები — გიგა, დათა და მე, ქვერიდშვილების დიდი სახლის კედელში გარედან გამოკვეთილ ბუხრისმაგვარ სასანთლე ნიშში ვისხედით. ნიშში სიმშრალე იყო, სითბოც, დათამ ერთი გრძელი ზღაპარი იცოდა, „ზაია-ზაიასი“, იმ ზღაპარს გვეყვებოდა: — ერთ კუდიან ბებერს ხელსაფევავე ჰქონდა, დაატრიალებდა იმ ხელსაფევაგს, მიაყოლებდა, — ზაია, ზაია, ზაიაო, — გადმოცვივდებოდნენ კომპლიანი ყაჩაღები და, რასაც ბებერი მოისურვებდა, ყველაფერს უსრულებდნენ, რა საქმელიც უნდოდა — მურაბები, ქაღები, ტორთები... — თქვა დათამ „ტორთებიო“, და გიგამ იკითხა: — გიჭამიათ ტორთიო? დათას არ ეჭამა, არც გიგას. მეც არ მეჭამა, მაგრამ მამაჩემი მოსამსახურე კაცი იყო, ქალაქში ხშირად დადიოდა, მშობლების ღირსების შელახვას მოვერიდე და ვიცრუე — მე მიჭამია-მეთქი. გიგა და დათა სანყლური თვალებით შემომჩაჩერდნენ: — როგორი გემო აქვსო? — მე დავიბენი. მერე ერთ ნამში გავისხენე, რაც ტკბილი და გემრიელი მეჭამა და ცოტა ყოყმანით, მაგრამ მაინც ვთქვი: — გოზინაყს რომ ბლის მურაბა დაადო, ისეთი გემო! გიგას და დათას ახლა გოზინაყისა და ბლის მურაბისკენ გაექცათ გონების თვალი, მაგრამ მალე დათა დიფლანა და თქვა, — გოზინაყზე დადებული ბლის მურაბა და ტორთები გოგოებისა და ქალაჩუნა ბიჭების საქმელი არისო, ასე რომ ჭამენო, — ერთმანეთზე მიდებული ცვირი და საჩვენებელი თითი მიიტანა მოძულურნულ ტუჩებთან, ისე, რომ სამი დანარჩენი თითი გაფარჩხული ჰქონდა, — ვაჟკაცებმა უნდა ჭამონო: ხოხნოტაო, მინავაშლაო, მარჩიტაო, კონახურის ფოთოლიო, მუაუნაო... — ყინტორა, ვაზის ყლორტი თავისივე ბნკლებით! — აჰყვა გიგა, — ბოყი! კიდეც რა... დათრთვილული კვრინჩხი... ხან გიგა იძახდა, ხან დათა: — ზღმარტლი, ასკილი, მახრჩობელა პანტა, თამელი... მგელი ხომ ყველაზე მაგარია ვაჟკაცობაში, მგელი რასა შერება, ხომ იცით?! რომ გაუჭირდება, აყალო მინასაც

კი ჭამს. ეს ყველამ ვიცოდით და მე ჩემი გავისხენე: — საბანაოდ რომ წახვლ, პურის ნატებს და ნიორს რომ ნაილებ ჯიბით, შენა ბანაობ, ის პური მზეზე ხმება, გახმება, მაგრა, ნაბანავებელს მოგშივდება, ამოიღებ იმ გამხმარ პურს, ნიორს მიატან და შეჭამ... იიფ, აი ნამდვილი ვაჟკაცური საქმელი! — კიდეცო, — გადავედი შეჭამანდებზე, — მახოხი, ჭრიანტელი, თხლის შეჭამანდი, შვინდის შეჭამანდი, ღოღოსი, კვრინჩხისა, დოს შეჭამანდი. გავახსენდა ქაზალულოც: სატაცური, ჭინჭარი, კაპარი, მარკვეტა, სვინტრი, კობრჩხილო, ციკნიყურა...

უბერავდა შემოდგომის ცივი ქარი, მოდიოდა წვრილი, ალმატეკრი წვიმა, მოჰქონდა დაგლეჯილი ყვითელი ფოთლები, ჩვენ კიდეც, პატარები, თბილად შეუუყულნი სასანთლე ნიშში, ისევ განვაგრძობდით ვაჟკაცური საქმელების ჩამოთვლას. ქუმელიო, სიმინდის ბაკლაო, ხირხიტონიო, ბოლდინო... და უცებ ყველამ ერთად ვიყვირეთ, —



მხატვარი თამაზ ხუციშვილი



ლობიო, კაცოო?! ლობიოს ხსენებაზე ყველას სიამოვნებით გაგვეცინა. უბერავდა ქარი. წვიმდა, წვიმდა. ამასობაში მოგვეპივნოდა კიდეც. დათამა თქვა; — ლობიო ჩვენა გვაქვსო. გიგამაც თქვა, — ჩვენცა გვაქვსო. მეცა ვთქვი, — ჩვენცა-მეთქი. — თქვენი როგორი ლობიოაო, — მკითხა დათამ. — გურული. — თქვენიო, — ჰკითხა ახლა გიგამს. — ნიკა ლობიო. — ჩვენ მინდვრის წითელი ლობიო გვაქვსო, — დათამ. აბა, მინდვრის ლობიოს სხვა ლობიოები როგორ შეედრებოდნენ ფაუკაცურობაში! როგორღაც გულდაწყვეტილები შევაჩერდით დათას. დათა მიგვიხვდა, — ნამოდით ჩვენთან, ჩვენი ლობიოსო ვჭამოთო. ნამოვიწიეთ საყელოები კეფაზე, წავიღუნეთ და წავედით დათაანთა წვიმაში.

— დეიო, — უთხრა დათამ ნატო ძალოს, — ამათ ჩვენი ლობიოსი უნდათო. — დასხედითო, გენაცვალებითო, ეხლავეო. დავსხედით მაგიდასთან. ნატო ძალომ ღუმელის ქვეშინდან გამოდგა სადუღარი. ჩამოგვირიგა თიხის ჯამები და ხის კოვზები. გადმოგვიღო სადუღარიდან ქონდრის სურნელდანი ლობიო. მოგვცა ცოტათი გამხმარი, ცოტათი ობმოკადებული პური, — ობიან პურის ვინც შეჭამს, ფულს იპოვისო. ჩვენ ესაც ვიცო-

დით. ჩავიმტვრიეთ, ჩავიფშხვენით ის პური რასაც ჩვენ ვერ ვტეხავდით, ნატო ძალო გვიმტვრევდა. აფურიეთ კოვზებით, ჩავაბუფებუყეთ და, — დღეს თქვენ შემწვარ-მოსრაკულები, მე კი ის, რა ნეტარებითაც ის ლობიო ვიახელებით მაშინ!

ჯამები რომ მოვასუფთავეთ, — აგაშენოთო, — ვთქვით. წყალიც დავლიეთ. ისევ უბერავდა ქარი და ისევ წვიმდა. მაინც წავედით, ისევ ქვრივიშვილების სასანთლე ნიშში შევსხედით, ვისხედით, ერთმანეთს მიჭუჭკულნი, თბილად, და მომავლის გეგმებს ვანწყობდით: ქარი რომ ჩადგებოდა, წვიმა რომ გადაიღებდა, ყინვა რომ წამოვიდოდა და თრთვილი გაიფინებოდა, მაშინ კორძიანებში წავიდოდით და თრთვილდადებულ კვრინჩხს ვჭამდით. თრთვილდადებულ კვრინჩხს და, თუ დიდები წამოგვეყვებოდნენ დიდ ტყეში, წითლად ჩაღუღლუდებულ თამელსაც. თამელი მაღალ, ცაში ასულ ხეებს ასხია, დათეს რომ ჩამოყრა მოუნდებო, დაებლაუჭებო, დააჯანჯლარებო, და წამოვა ხრიალით. თამელზე ვაჟკაცური საქმელი რაღა იქნება!

აი, ამ ფაუკაცური საქმელებით დავიზარდენით ჩვენ. დათას ხუთი ბიჭი ჰყავს, გიგას — ოთხი, მე ცოტა ნაკლები, მაგრამ მაინც ბიჭები.

ჩამნარკბული ჩაის ღღე

ასეთ უცნაურობას
კურღღელი თუ ჩაიდენს,
აჯამეთის ტყეშიო
კვირას ვმართათ ჩაის ღღეს.
დაუძახა კოდალგებს,
— ჩვენთან ჩაის ხომ დაღვეთ?

— დაღვეთ,
მოვალთ, გეწვევით,
ღვით და თქვენი შეწვევით.

— ყოჩაღ, ყოჩაღ, კურღღელო,
ახმაურდა მთელი ტყე-
გს ამბავი ჩიტებმაც
დიდის ამბით შეიტყეს.

ჩაის ღღეო, ჩაის ღღე,
რა კარგია, რა კარგი!
გახალისდა შოშია,

გნოლი, გვრიტი, კაკაბი.
დატრიალდა კურღღელი,
მუხლში ძალა ჩაიდგა,
შუაცეცხლზე მელივებს
ადგმევივნებს ჩაიდანს.

ბლომად ჰქონდა შაქარი.
ფხენილიცა და ნატეხიც.
არსად არ გამართულა
ჯერ ჩაის ღღე ასეთი.
კურღღელს გაუხარია,
ტყე სავეცა სტუმრებთი.
რა იქნება ეს ჩაი! —



იცინიან ტურები!
ყვეი ჩხიკვის მამილა,
ჯერ იძახდა: არ მინდა,
ახლა:—ყანწვი ჩამისხით,
უნდა გავძღე ჩაის სმით!
და ძვირფასი სტუმრები
დასხდნენ სავეც ქვიტთან...
ამ დროს ორღულიანმა
თოფმა ორჯერ იქეცა.
აიშაღნენ საწყლები,
— ჩვენ აქ ყველა გავწყდებით!
ციყვი ხეზე ავარდა,
როგორ უნდა დამშვიდდეს!
ფრთები ვისაც ჰქონდა,
რა თქმა უნდა,

გაფრინდენ.
ვისაც არა,—გარეკეს,
გადაღვენენ ნარ-ეკლებს.
— სად დაეკარგე ვაი, დრო,—
ტურა წუწნის ვალიდოლს.
შეშინებულ ტყის ქათამს
მელა მკერდში ჩაისეფს.
— ამას ჰქვია ქვეყანა?
არ გაცლიან ჩაის სმას!
სხვებიც შეშინებულნი
აქეთ-იქით წავიდნენ,
ეჰ, როგორ ჩააშხამათ
თოფმა საწყლებს ჩაის ღღე.



ირაზი

რებით, ხავსით; ძალიან უყვარს მაყვლის მწვანე ფოთოლი. ირემს მრავალი მტერი ჰყავს და მათ შორის ყველაზე დიდი მტერია ადამიანი. დღეს რომ საქართველოში ძალიან შემცირებულია ირმის რიცხოვნობა, ამაში ყველაზე მეტი ბრალი სწორედ ადამიანს მიუძღვის.

საქართველოს ბუნების მშვენიერება ირემი. განსაკუთრებით ლამაზია ხარირემი, რომელსაც დიდი, დატოტვილი რქები, ღონიერი კისერი, მაღალი ფეხები და გამონაკეთული კულმოკლე სხეული აქვს, ხოლო ბრიალა შავი თვალები სიმშვენიერეს მშაბებს. ალბათ ამიტომ უწოდებენ მას კეთილშობილ ირემს. ირემი საუკეთესო ხარისხის ხორცს გვაძლევს. მისი ტყავისა და ბეწვისაგან თბილ ქურქებს და ფენსაცმელს ამზადებენ, რქებისა და ჩლიქებისაგან—ძვირფას სამკაულებს; ხრტილებსა და სხვა ორგანოებს მედიცინაში იყენებენ.

აღრე თურმე საქართველოს ქალისა და მთის ტყეებში უფრო მრავლად იყო ირემი. ირმის რემები კავკასიონის ქედზე ზამთარშიც კი თავისუფლად გადადიოდნენ და გადმოდიოდნენ. ეს ცხოველი ხომ ძალიან ძლიერია, იქაც კარგად გვარობს, სადაც თოვლის დიდი საფარი იცის და სხვა ჩლიქოსანი ცხოველები იღუპებიან. ირემს ერთ მეტრამდე სიღრმის თოვლში შეუძლია მოძრაობა. საკვების მოპოვება და სირბილი. მისი დაუძინებელი მტერი—მგელი დიდ თოვლში ვერასოდეს ვერ გაპყვება და ვერ დაიჭერს მას. ამავე დროს ირემს საუცხოო სიმენა, მხედველობა და ყნოსვა აქვს. სწრაფად დარბის—ექვს-შვიდ მეტრამდე სივრცის ნახტომებს აკეთებს. მასთან ახლოს მიპარვა ხომ ძნელია და ძნელია. მისთვის სურათი რომ გადაამელო, წინასწარ ჩავუსაფრდი ბორჯომის ტყეში—ახალგაზრდა ხარირემი დილას აღრე გამოვიდა სამოვარზე. ფოტოთოფის განჩაკუნებაზევე ყურები ცქვითა. მეორედ განჩაკუნებაც მოვასწარი, და ვლვასავით მოწყდა ადგილს და ერთი ნახტომით ტყეში გაუჩინარდა.

ირემი იკვებება ბალახით, ნეკერით, მღიე-

კავკასიონის ქედებო,
ღალიან-ბარაქიანო,
მაგ თქვენს კალთებზე ვშობილვარ,
ქობრუდას მემძიანო.
მტერი ისედაც ბეგერი მყავს,
შენ რად მმტრობ, კაცო ღვთიანო.
არა გთხოვ სასმელ-საქმელსა,
არც ბინას გთანაზიარობ.
ჩემს საზრდოს მე იქ დავეძებ,
კლდე რომ ჩამოსდგამს ფრიანო.
ღამის სათვევად შენგან შორს,
კლდე-ღრეში დავხეტიალობ.
მაშ შენ რას გიშლი, მაცალე,
ამ ქვეყნად ლაღად ვიარო.
მეც ამ ბუნების შვილი ვარ,
რას მერჩი, ადამიანო.

თუ ეს მოკრძალებული ვედრება არ შევისმინეთ, მარტო წითელ წიგნში შეტანა ირემს ცხრ უშველის. იარსებოს ამ უძვირფასესმა ევხოველმა ჩვენს ლამაზ ბუნებაში, ვიზრუნოთ მის დაცვასა და მოვლა-პატრონობაზე!



ქ. მარტვის ხახ. სქ. სსრ
სახელმწიფო რეპრეზენტაცია
ბიბლიოტეკა

ჩვენ, ბავშვებს, გინდა სულ გალიმებული მზე ანათებდეს ცაზე. გალიმებული მზე ხომ მშვიდობაა?
ხათუნა ტალახაძე.

მე მინდა, რომ მსოფლიოს ყველა ბავშვი ისეთი ბედნიერი იყოს, როგორც საბჭოთა კავშირის ბავშვებია.
ია მირიანაშვილი.

ამერიკის პრეზიდენტს რეიჯანს სურს, რომ დაიწყოს ომი. ხალხს კი მშვიდობა უნდა. ჩვენშიც და ამერიკაშიც.
ინოს ბაბაშვილი.

არ არსებოს ისეთი ადამიანი, რომელსაც არ უყვარს თავისი სამშობლო. დედნება გმირებს, რომლებმაც სიცოცხლე შესწირეს მას.
ირაკლი რახვიაშვილი.

თავი სამშობლო მშობლო დიდსახეო მოცუდას მხოლოდ დიდად ატყობან. რ უნდა ლეგებს. მე არ ვთვალავარაღ ჩვენ სამშობლოში.
თამარა კობახიძე.

ჩვენი სამშობლო მშობლო დიდსახეო მოცუდას მხოლოდ დიდად ატყობან. რ უნდა ლეგებს. მე არ ვთვალავარაღ ჩვენ სამშობლოში.
თამარა კობახიძე.

თავი სამშობლო მშობლო დიდსახეო მოცუდას მხოლოდ დიდად ატყობან. რ უნდა ლეგებს. მე არ ვთვალავარაღ ჩვენ სამშობლოში.
თამარა კობახიძე.



სამშობლოს, ხალხს პატივი უნდა ვუთხროთ. მხოლოდ მათ მოგვიძინეს მშვიდობა.
ვიალი ჩხუაძე.


ფილემები სანადგურად ხანდახან მხოლოდ ბანელოვანებს უნდა ჰქონდეთ.
ზაზა ჩირბაძე.



თუ მტრმა გადმოლახა ჩვენი საზღვარი, მე სახლში არ გამოვივლები, ქუჩაში გამოვალ. ხალხის გადასარჩენად.
მიმი ზრნაზაძე.

ჩვენ მშვიდობა გვინდა!

მშვიდობის დედა და მამა. ყველა ბავშვს მშვიდობა და იცოცხლოს. მშვიდობა და იცოცხლოს, მე და ყველა ბავშვი ბედნიერი.
დავით შარბანიძე.



ჩვენ მშვიდობა გვინდა. და თუ ვინმეს უნდაბავს, როგორ იცინონ ბავშვები, ისიც ამასვე იტყვიან.
ლაურა დემეტრაშვილი.

მინდა ვიყო 18 წლის, რომ დავიცვა საბჭოთა საზღვრები.
შალვა ჩანტლაძე.

მირის ჭანტარიაძე.



მე მინდა ბომბებით კი არა, მტრელებით სავსე ცა დასაფაროს მშვიდობას! გაუშვარსა ჩვენი ამომავალი მზეს!

აია ხუზარაძე.

ომი რომ დაიწყოს, მე წავიქცევი სამშობლოს.
ნია ვილნაური.

მშვიდობა უფრო ადვილია ბავშვების სურვილი, ვიდრე უფრო ადვილია ბავშვების სურვილი. მშვიდობა უფრო ადვილია ბავშვების სურვილი, ვიდრე უფრო ადვილია ბავშვების სურვილი.
იახა პრაბაძე.



მე უნდა ვიყო 18 წლის, რომ დავიცვა საბჭოთა საზღვრები.
ალეკო ათილაძე.

მე მინდა მშვიდობა, მაგრამ მშვიდობის დედა არ არის ომი.
შალვა ზალაშვილი.

ჩვენ რომ დავიბადოთ, ვიბადოთ, მშვიდობა გვინდა. ჩვენ რომ დავიბადოთ, ვიბადოთ, მშვიდობა გვინდა.
შალვა ზალაშვილი.



ჩვენ არ გვინდა ჩვენს მიწაზე ატომი ბომბი. ჩვენს მიწაზე ატომი ბომბი. ჩვენს მიწაზე ატომი ბომბი.
გიორგი პაპიაშვილი.



გაუმარჯოს იმ ხალხს, ვინც გმირობა გამოიჩინა. მტრმა რომ გადგობს და ჩვენი საზღვარი გადმოლახოს, მე არ შევმინდები და პირდაპირ ბრძოლის ველზე გავქვეყნები სამშობლოს დაცვადა.
მიმიოპი ათაზაძე.

პატარა რომ ვიყავი, ომი თამაში მეგონა. არ ვიცოდი რა იყო სიკვდილი, მეგონა მეკადნიერად ადამიანის ფეხზე დადგომა ნაშლის დასაწყისი შეიძლებოდა. ჩვენ არ გვინდა ომი, არ გვინდა სისხლის ღვრა.
გიორგი ჭანტარიაძე.

ჩვენ მშვიდობა გვინდა, არ გვინდა გავიკითხო ომის გეგმა. რა მდინე ბავშვი დაიბადო ომში, რამდენ დედას არ დაუბრუნდა შვილი. ომი რომ დაიწყოს, ნავალ, რომ ჩვენი სამშობლო მტერს ხელში არ ჩაუვარდნი.
მიმიოპი ათაზაძე.

ბავშვებმა არ უნდა ენახონ, როგორ სკვდებიან ვუშაბრები, როგორ ისიცინონ თათულები და იღვრება სისხლი. ბავშვებს მშვიდად უნდა გვეცინოს, უნდა გვეტონდეს მომავლის იმედი და რწმენა. მხიარული უნდა იყოს მსოფლიოს ყველა ბავშვი.
გიორგი პარაკანაშვილი.

ჩვენს სამშობლოში მშვიდობა უნდა ჰქონდეთ. ჩვენს სამშობლოში მშვიდობა უნდა ჰქონდეთ.
გიორგი მთიარული.

მე ნათქვამია, რომ მშვიდობა უნდა ჰქონდეთ. ჩვენს სამშობლოში მშვიდობა უნდა ჰქონდეთ.
პიროლ ჩაბა.



ჯურხა ნადირაძე

დედა მზისა და მამა მთავრის აბჯავი

აღამიანი გაჩენის დღიდან კრძალვით შეს-
ცქეროდა მზესა და მთვარეს, რომლებსაც
ზეციდან სინათლე და სითბო მოჰქონდათ.
იმ შორეულ წარსულში კი არა, ახლაც, რომ
დაღამდება, სიბნელის შიშით ბარეორ ბავშვს
გარეთ ვერ გამოიჩყუებ. გათენდება, დიდი
მნათობი ქვეყანას გააცისკროვნებს და ის
მშობარა ბავშვები მზესთან ერთად გულ-
ადად დააბიჯებენ დედამინაზე. ახლა რომ
ასეა, ლამპიონებით გაჩახჩახებულ ქვეყანა-
ში, რა იქნებოდა მამინ, როცა დედამინაზე
ნათურა კი არა, ნავთის ლამპაც არსად ჭია-
ტობდა და წყვდიადის გაფანტვა მხოლოდ
მზესა და მთვარეს შეეძლო.

შერე მინათმოქმედმა მოაზროვნე კაცმა
შენიშნა, რომ მზე მარტო წყვდიადის გამ-
ფანტავი კი არა, სიცოცხლის დედაც იყო.
ცაზე მზის მოძრაობასთან ერთად იცვლებოდა
დედამინის ელფერი, მას უკავშირდებოდა
ბუნების გაცოცხლებისა და გარდაცვალების
ამბებიც.

სულ ძველად, როცა აღამიანი მღვიმეში
ცხოვრობდა და თავს ნადირობით ირჩენდა,
მზის მოძრაობის ამბებს ის მაინცდამაინც
ვერ აკვირდებოდა და არც საიმისო გონება
ჰქონდა, მიხვედრილიყო, თუ რატომ ცვლი-
და ზამთარს გაზაფხული, გაზაფხულს —
ზაფხული, ზაფხულს — შემოდგომა, შემოდ-
გომას — ზამთარი. მინათმოქმედ კაცს კი
ყანა ჰქონდა დასათესი და ზამთარში ძალა-
გამოლეულ მზეს შემკრთალი შესცქეროდა,
სითბოსა და სინათლეს ევედრებოდა. მზეც,
რა თქმა უნდა, ისმენდა ვედრებას, — გავი-
დოდა დრო, ზამთრიდან გაზაფხულში შემო-

ტრიალდებოდა, დედამინას გაათბობდა და
გახარებული ხალხი გაზაფხულს ზეიმობდა.
მღეროდნენ, ცეკვავდნენ და მზეს საგალო-
ბელს უგალობდნენ. ასე გაჩნდა ამ ქვეყანაზე
პირველად დღესასწაული. დღესასწაულის
შემდეგ ხალხი სამუშაოდ მიეშურებოდა
ბაღჩა-ბაღებში. მზე კი თანდათანობით ძა-
ლას იკრებდა, თოვლის ნაცვლად ციდან დე-
დამინაზე დიდი მნათობის მიერ ნაწყალობე-



მხატვარი ელზარე აფთიაძე

ვი თბილი წვიმა მოდიოდა. მთა და ველი თანდათან მწვანით იმოსებოდა, ისმოდა ფრინველთა გალობა, იხადებოდნენ ულამაზესი შვლის ნუკრები და ცხვრის ბატყნები, იჩეკებოდნენ ყვითელნისკარტა ბუნტულიანი ბარტყები. მზე ყველა სულდგმულს ათბობდა და ეაღერებოდა. ამიტომ იყო, იმ ჩვენმა შორეულმა წინაპარმა ყოვლის დამბადებელი მზე რომ ქალს შეადარა და დედად მიიჩნია.

ზეცის მოთვალთვალე ადამიანს არანაკლებ აოცებდა მთვარის საქციელი — ერთ ღამეს რომ ცაზე ნამგალივით მთლად გალესული გამოჩნდებოდა, მერე და მერე შეივსებოდა, გადიდდებოდა, გაიზარებოდა, და როცა ღამეს დღესავით გაანათებდა, მერე ისევ დაპატარავებას დაიწყებდა. გავიდოდა ხანი, მთვარე თითქოს ქვესკნელში ჩაინთქმებოდა და ქვეყანას ბნელი ღამე დაეუფლებოდა. ღამის შიშით შემკრთალი ადამიანი მთვარეს შესთხოვდა, მალე დაბრუნებოდა და დედამინას. და მთვარეც გამოჩნდებოდა — ახალ ცხოვრებას იწყებდა ცაზე. ადამიანმა თავის სიცოცხლე მთვარის სიცოცხლეს შეადარა და დაიჯერა, რომ გარდაცვალების შემდეგ ისიც ისევე დაბრუნდებოდა ამ ქვეყანაზე, როგორც მთვარე გაქრობის შემდეგ ბრუნდებოდა ცის კამარაზე. მთვარე მან უსაყვარლეს მამად აღიარა და მნათობებს ჰიმნიც მიუძღვნა: „მზე დედაა ჩემი, მთვარე — მამა ჩემი, და წვრილ-წვრილი ვარსკვლავები და და ძმა ჩემი“.

იმ შორეულ წარსულში მომხდარ ამბებთან შედარებით ეს ლექსი ახლადახალია, მაგრამ ხალხური სიბრძნე: თქმულეები, ზღაპრები, ლექსები და ლექგენდები შორეულზე შორეულ წარსულში მომხდარი ამბების სსოვნას იწახვენ.

შეცნირებმა დაამტკიცა და მე თამამად შემიძლია გითხრათ, რომ ანგარიში ადამიანს მზე და მთვარეც ასწავლეს. ანგარიში კი არა, ანბანის გამოგონებაც ადამიანს მნათობებმა ჩააგონეს. კაცი დანეტერესდა, რამდენი დღე და ღამე გავიდოდა მთვარის ერთი გავსებიდან მეორე გავსებამდე. ეს რომ გამოეანგარიშებინა, სახლის წინ ღამაზად გათლილი დიდი სარი დაასო, მთვარეს დაუდარაჯდა, და ქვესკნელში ჩაკარგული მნათობი ცაზე რომ აკიფდა, ხეზე ხაზი გაუსვა. მთვარე გადიდა, გაივსო, შემდეგ ისევ დაპატარავდა, ამასობაში კაცი ხეზე ყოველდღე ხაზებს უსვამდა, და როცა ქვესკნელში ჩანთქმული მთვარე ცაზე კვლავ აკიფდა, კვლამ ხეზე ოცდამეათე ხაზი გაუსვა და განვლილ დროს მთვარის სახელი — თვე უწოდა.

მთვარე თორმეტჯერ რომ გაივსო და გაილია, ერთმა წელმა განვლო. ადამიანის მიერ შექმნილი მთვარის კა-



ლენდარი მთლად ზუსტად არა, მაგრამ მიასხლოებით მაინც ანგარიშობდა წელიწადის ხანგრძლიობას. უფრო ზუსტად ის დანიანგარიშეს მოგვიანებით, როცა გამოიგონეს მზის კალენდარი. კვირტების ვაშლიდან კვირტების ხელახლა გაშლამდე მზის ამოსვლისა და ჩასვლის რაოდენობას ადამიანი ხაზებით ანგარიშობდა. ხეზე გასმული ხაზები, რომლებიც დღეებს, კვირეებსა და თვეებს აღნიშნავდნენ, იყო დაძველებული ჩანასახი. წლების, საუკუნეების გავლის შემდეგ ადამიანმა ხაზებისაგან შექმნა დამწერლობა, რომელსაც მეცნიერები ახლა ლურსმულ დამწერლობას უწოდებენ. იმის შესახებ, თუ როგორ გააკეთა ადამიანმა ეს უდიდესი საკაცობრიო საქმე, მერე მოგიხსნობთ. ახლა კი იმას გეტყვით, რომ სახლი, საიდანაც კაცი მნათობებს აკვირდებოდა და რომლის წინ ღამაზად გათლილი ხაზებიანი ხის ძელი იდგა, ადამიანებმა სალოცავად გაიხადეს. ასე გადაიქცა ალოზისაგან აგებული ჩვეულებრივი პატარა სახლი მთვარისა და და მზის სადიდებელ ადგილად. იგი იყო შემდგომ საუკუნეებში აღმართული გრანდიოზული ტაძრების წინაპარი, ხოლო კაცი, რომელიც ამ სახლში ცხოვრობდა და მეცნიერის მძიმე შრომას ეწეოდა, წინაპარი იყო იმ ბრძენი სწავლულებისა, რომლებმაც ანბანი შექმნეს, კანონები შეადგინეს და ლიტერატურული ნაწარმოებები დაწერეს.



პარლო კოპარიძე

მხატვარი ბესო ხილაშაილი

უსწაური ბიჭისა და მისი ღიმილის ზღაპარი

იყო ერთი სახელმწიფო. როგორც ყველა სახელმწიფოში, იქაც—ბიჭებზე მეტი რა იყო. მაგრამ ჩვეულებრივი ბიჭების გარდა კიდევ ერთი უცნაური ბიჭიც ცხოვრობდა: არც ჩაცმით, არც სიტყვა-პასუხით, არაფრით არ გამოირჩეოდა სხვებისაგან. თუმცა უცნაური იყო მაინც—სულ იმას გაიძახოდა, ჩემს სოფელს არ ვავცილებებივარ და აკი აქაურობა მომწყინდაო.

— რა მოგწყინდა: შენი სოფელი, შენი ველ-მინდორი, ბალ-ვენახი, ბაღა-ბაღი, ტყე-ქალა, შენი ცა და ღრუბელიო?! ვინ მოგწყინდა, შენიანგებო!

— სულ მიწას რომ ჩაჩერებებივარ და სულ ნახირს დავდე, ყოველი ღლე ერთნაირი რომ არის, ის მომწყინდაო.

— შენა გვონია, სხვან უკეთესი ცხოვრებააო?

— შეიძლება უკეთესი ცხოვრება არ იყოს, მაგრამ უკეთეს ხელობას მაინც ვისწავლიო. შინაურებმაც ბევრი უშალეს, მეზობელ-ნათესავებმაც, ვე სისულელე ამოიგდენ თავი-დანო; რამდენს ვცადენ, რამდენს არა, წყლის ნაყუ გამოუვიდათ მაინც: ერთ ღღეს ადგა ბიჭი და გაიპარა შინიდან. არავის უძენია— უკეთესი ცხოვრების საძებნელად წვირილაო

და, რაკი არ იცოდნენ, სად, რომელ მხარეს იყო უკეთესი ცხოვრება, ძებნის ნაცვლად ხეტიალი გამოუვიდოდათ. დალაგებულ ხალხს კიდევ არც მაშინ ვცალა სახეტიალოდ და არც ახლა სცალია.

მივიდა ერთ უცნო ქვეყანაში ის ბიჭი, მიღვა-მოღვა, მიხედ-მოიხედა: აქაც მარტო მიწას ხნავენ, თესავენ, ფარცხავენ, თონიან, მკიან და საქონელსაც აბალახებენ.

ბიჭმა ხელი ჩაიქნია და გზას გაუდგა ისევ. ახლა სხვა ქვეყანაში მივიდა, ხედავს: სახლს აშენებენ.

— რომელია კალატოზიო?—იკითხა.

— მე ვარო, —უთხრა ერთმა ბერიკაცმა.

— შეგირდალ ვერ ამიყვანო?

— რატომაც არაო.

ის კალატოზი კარვალაც აჭმევდა, კარგა-დაც აცმევდა და გროშებსაც აჩუქებდა ხოლ-მე, ესაო გასართობად დაგვირდებო.

მაგრამ მანც მოიწყინა ბიჭმა:

— ყოველღე ხარაჩო დააყენე, კირი აზი-ლე და გადაზილე, ქვა ქვაზე დადე, ქაფჩა იქნე, ლარი გაქიმე და აახევე, დაათარაზოე და დაშვეულე კეღელი—ამას ჰქვია ცხოვრებაო?!—დაემშვიდობა კალატოზს და გზას გაუდგა.

ბევრი იარა თუ ცოტა, სხვა სახელმწიფოში გლავიდა და ღურგალს დაუდგა შეგირდად. დრო იქაც გაეპარა ნელ-ნელა და ახლა ბირ-დაბირის, ხისოხერხის, ბეწვახერხის ხრიალი მობეზრდა; ხუშტარას, რანდას, ხეწის შრიალ-ხინინი მობეზრდა; საჭრეთელის, ხელგჩოს, ჩაქუჩის, ხედას კაკა-კუკი მობეზრდა, და ღურგალსაც დაემშვიდობა.

ბევრი რომ არ გაევაგრძელო, მთელი დღე-ღამინა შემოიარა: მქედლის შეგირდიც იყო, ხარზისაც, ხაბაზისაც, ნაღბანდისაც, ოქრო-მქედლისაც, მხატვრისაც... ვისი აღარ! ვერაფერს ვერ დაუღო გული; ჰოდა, ერთ მშვენიერ დღეს ისევ თავის სოფელში დაბრუნდა ღიმილით...

ჯერ შინაურები შემოგხვივნენ, მერე მეზობელ-ნათესაეები, უფრო მერე კიდევ მთელი სოფელი დაედო, საღ იყავი და რა ნახეო. ბიჭი კი აქეთ-იქით იხედება ღიმილით. ატყობს: თითქმის არაფერი გამოცვლილა ირგვლივ, ცაც ისეთივეა, როგორიც დატოვა, მთებიც, გორაკებიც, ბალ-ვენახებიც, მინდვრებიც და მზეც, ოღონდ უფროსები უფრო დაბერებულან, ბავშვები დაზრდილან, ხეებიც და თვითონაც გაზრდილა.

— აღარ იტყვი, საღ იყავი და რა ნახეო? თქვენც არ მომიკვდეთ—მმას არ იღებს, ღიმილით კი ისევ იღიმება.

გადაირია ხალხი:

— ის მაინც გვითხარი, რატომ იღიმებო.

ბიჭი კი ხან ზეცას ასწერებია ღიმილით ხან მიწას დაჰყურებს, ხანაც მაღალ მწვერვალებს უტკერის.

— აღარ იტყვი, რატომ იღიმებო?

— მართლა არ იცი, რატომო?

— არ ვიცი.

— მართლა არ იცი?

— რაც არ ვიცი, არ ვიცი!

— საღ არ ვიყავი, რა ქვეყნები არ მოვიარე, მაგრამ ყველგან და ყოველთვის ჩემი ბალახის სურნელი მენატრებოდა, და ახლა ის სურნელი რომ შემომეგება, ის მაღიმებსო.

— რაო, რაო, ბალახის სურნელი მაღიმებსო?!—უარესად გაოცდა ხალხი. ერთმა ბერიკაცმა კი ბეჭებზე მოუთათუნა ხელი:

— მართალი ხარ, შვილო, სამშობლო ბალახის სურნელითაც იწყებაო.

საქართველი

ქალაქელი შიჭქუში

ჩვენს სოფელში ჩამოსულან ქალაქელი ბიჭები, შრომა უყვართ, უსაქმურად როდი დაბდიჯებიან. ზაფხულია, მზე დაჰსარის ველ-მინდვრებს და ვენახებს, მწვანედ ჰგუავის ვეელა ნერგი, ვეელა ბუჩქი, ვეელა ხე. დიდიდანვე ფუსფუსებენ, სოფელს ესმარებიან, ნიკოს, სიკოს, მოხუცებულ ბაბუას თუ ბებიას... საღამოს კი ბურთს დასდგვენ, ერთურთს ეჯიბრებიან... ქალაქელი სოფელს უტკებს და სოფელელი—ქალაქელს. აქეთ ლასტიც გაასურეს, განა ვინმე გალასენ. ერთობიან, იცინიან, ჭიდაობაც გამართენ. სირბილმიაც გეჯიბონენ, სძლევენ აღმართ-დაღმართებს, არც ზარმაცი ურევიათ, არც ზარბი და მკეკუნარა, სხასნაელო ვაჭაგებო ესრდებიან ქვეყანას.



თარსი ფენით, თარსი კუდით
 გაიტაცა ქარმა ქუდი!
 არ იციან ვინისა,
 ვინის საკადრისისა.
 ოქრომკედით ნაქარგია,
 რა ძვირფასი, რა კარგია!..
 — სელთ თუ იგდე, შენია, —
 შემოსძასა მელიამ.
 არიქა და არიქა..
 გამოუდგენ უველანი,
 ბევრი პატროსანი,
 ბევრიც სამკლე, ვერანი.
 ერთხანად სწადიათ
 მცონარეს და მარდსაცა,
 მაგრამ ხელი ზირველად
 ბეჭემოტმა დასტაცა.
 დასტაცა და შოიგდო,
 გზა უტეის ფეთინს..
 თუშცა დიდი კი იყო



თავზე ძლივს დაეცა.
 მაინც უოველის მხრიდან
 ჯექდა შემსილები,
 ისე იბერებოდნენ,
 დაიწვევიტეს დილები.



— უთხალ ძმაო! უთხალ,
 ძმაო! —

გაუვიროდა თხა მეზურნე, —
 ვის თავს უნდა ამძვენებდეს
 ოქროს ქუდი აი, თურმე! —
 ბეჭემოტი ისმენს ვეირილს,
 მადლა-მადლა იწვეს ცხვირი,
 ცხვირი ისე იწვეს მადლა,
 რადაც უნდა მოსდეს ახლა!..
 დაძებრა და არიქა!..
 ქუდი მიჭქრის ქარი-ქარი!
 აბა ჰე და აბა ჰო!..
 არის ერთი ზრიადი...
 წელა ვის ვაუდიმებს
 ბედი ოხერტიალი.
 ქუდია და რა ქუდი,
 დაამძვენებს ბრმენ ქურუმს,
 თქმა იყო და იმ წამსვე

სელი სტაცა კენგურუძ.

— ჰაუ, მართლაც ღირსი ხარ,
ვინ შეიძლებს შენოდენს!

არ გკინახავს ეს ქუდი
სხვას რომ ასე შეენოდეს!..

და კენგურუძ ისმენს უვირილს,
მაღლა-მაღლა იწვევს ცხვირი,
ცხვირი ისე იწვევს მაღლა,
რადაც უნდა მოხდეს ახლა!..
დაპბერა და არიქა!..

ქუდი მიქრის ქარი-ქარ!
აბა ჰე და აბა ჰო!..

კვლავ შეიქნა ზრიალი,
ნეტა ვის გაუდიმებს
ბუდი ოსერტიალი!

— ქუდია და რა ქუდი,
ფრინველივით მოფრინავს!..
თქმა იყო და, იმ წამსვე
სელი სტაცა ჩოკინამ.

— უოჩად, ძმაო! უოჩად,
ძმაო!—

გაპბეროდა თხა მეზურნე,—
ვის თავს უნდა ამშვენებდეს
ოქროს ქუდი აი თურმე!..
და ჩოკინაც ისმენს უვირილს,
მაღლა-მაღლა იწვევს ცხვირი,
ცხვირი ისე იწვევს მაღლა,
რადაც უნდა მოხდეს ახლა!..
დაპბერა და არიქა!..
ქუდი მიქრის ქარი-ქარ!

ბეჭრი სდიეს ოქროს ქუდს,
ჰერ მოიწვო ვერც ერთმა,
ითათბინეს და ბოლოს
დაადგინეს მხეცებმა:
„ღირსია თუ უღირსი,
გველა ნუღარ ვერება...
ვინც არ არის ბღენძია,
ქუდიც იმას შერჩება“.

ბალი

გიორგი ავალიანი

პატარა გიას პაპა თედო წარსულში სამ-
ხედრო მოსამსახურე იყო, ახლა კი ერთ
ქარხანაში დაცვის უფროსად მუშაობდა.

ქარხნის მუშა-მოსამსახურეებს ქალაქიდან
მოშორებით, ერთი სოფლის განაპირას კო-
ლექტიური საბაღე მიწა გამოუყვეს. თედო-
მაც აიღო მიწის ნაკვეთი. თედო თითქმის
ყოველდღე მიდიოდა ბაღში სამუშაოდ და
გიაც ხშირად თან მიჰყავდა. გიას ძალიან
უყვარდა პაპასთან ერთად ბაღში წასვლა.
იქ ათასი გასართობი რამ გამოჩნდებოდა,
ამის გარდა, პაპას მუშაობაშიც ეხმარებოდა
ხოლმე.

ზაფხულის იმ დღესაც თედო და მისი შვი-
ლიშვილი ბაღს ეწვივნენ. თედოს ბაღის
ერთ ნაწილში დათესილი სიმინდი მეორედ
უნდა გაეთოხნა.





ნოყიერ მიწაში სიმინდი ვალადებულიყო, მწვანედ ლატანებდა, ზოგი წველამდე სწვდებოდა პაპას, მაგრამ ბალახიც მაგრად მომძლავრებულიყო—ნაცარქათამა, ქანგა, ჯიჯილაყა, ვირეკალა და ზოგი სხვა სიმაღლით სიმინდს ეჯობებოდა.

თედო მაშინვე სიმინდის მორორდს შეუღდა. აღესილი თოხით მარჯვედ ჰრიდა სარვევლა ბალახსა და სიმინდის უვარჯის ღეროებს. გია კი უქვე დაშფიფებული მოცხარის მტევნებს შეეჭკა.

მაღე სოფლის მხრიდან ორღობეში ხანშიშესული ქალი გამოჩნდა. ქალს თოკზე გაუმომული ძროხა მოჰყავდა. ძროხა მორჩილად მოსდევდა პატრონს. საბაღე ნაკვეთის ღობის გაყოფებით ბალახი მწვანედ ბიბინებდა. ქალმა ძროხა მოიყვანა და თედოს ნაკვეთის მოსაზღვრე ბალის ღობეზე გამოშვამა დაუპირა, მაგრამ იმ ნაკვეთის პატრონი ქალი ლანძღვით გამოუჯარდა, ძროხა დობეს დამინგრეს, არ დააბათ ჩემს ღობესთანო, წიწმობდა.

— აქ მოიყვანე, აქ დააბი ძროხა, — დაუძახა თედომ ძროხის პატრონს, თან მებნაღე ქალს საყვედურით გადახვდა.

ქალმა ძროხა თედოს ბალის ღობეს გამოშვამა, თედოს მადლობა გადაუხადა და წავიდა.

— ბიჭო, გია, ხომ ხედავ, აქ რამდენი მოჭრილი სიმინდის ღერო და ბალახია, აკრიფე და გადაუყარე, აქ უსარგებლოდ დაღებება, ძროხა კი შექამს და მოუხდებდა, — თედო ამ სიტყვებს განგებ ამბობდა, რომ მგზობელ ქალსაც ვაგვგონა.

გიამ შეაგროვა მოჭრილი სიმინდის ღეროები, ნაცარქათამას და ჯიჯილაყას მწვანე ყლორტები, და ძროხას ღობის იქით გადაუყარა.

ძროხა ხარბად შეეჭკა; სიმინდის ღეროებსა და ბალახებს განურჩევლად ბლუჯავდა პირით და მადიანად ღეჭავდა. თედომ თავისი საქმე განაგრძო, გიამაც ყანაში ერთი მოჭრილი სიმინდი არ დატოვა, სულ ძროხას დაუყარა.

მზე რომ დასავლეთის ცისკიდურს მიუახლოვდა, ორღობეში ისევე გაშოჩნდა სოფლელი ქალი. მას მუშამის პარკით ბალი მოჰქონდა.

ქალი ჯერ თავის ძროხას მიეფერა: — ჩემო ფაქიზო, რა კარგად გავმასპინძლებია ეს კეთილი ხალხიო, უთხრა, შემდეგ გაისღობესთან დაუძახა და პარკი ვადმოაწოდა.

გიამ გაუბედავად წაიღო ხელი პარკის გამოსართმევად, თანაც თედო პაპასაცენ იხედებოდა, აბა რას მეტყვისო.

— ვამომართვი, შეილო, ქამე, კარგი გოგრა ბალია, ახლა მოვკრიფე, შენ ისეთი კეთილი ბიჭი ყოფილხარ, ალალია შენზე.


— რატომ წუხდებით ქალბატონო. მოართვი, ბიჭო, და მადლობა მოახსენე დიდელს, — თქვა ქალის საქციელით კმაყოფილმა თედომ.

ქალმა ძროხა ახსნა და ნელ-ნელა გაუყენა სოფლის გზას. გია და თედო პაპა კი ბალს მადიანად შეეჭკნენ.

— აი, ხომ ხედავ, შეილო, სიკეთე როგორ დაგიფასდა. აქ ჩვენი ანდაზაც ასე გვეუბნება: „კარგი ქენი, ქვას დაღვიე, გაიარე, წინ დაგხვდება“, ეუბნებოდა თედო შეილი-შეილს.




თევსაბი



ეს თავსატეხი შეადგინა და თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელის ვიტალი დარასელიას ხსოვნას მიუძღვნა გურჯაანის რაიონის სოფ. შრომის საშუალო სკოლის III კლასის მოსწავლემ რამინ მოსემდელიშვილმა.

შეავსეთ ცარიელი უჯრედები თბილისის „დინამოს“ მოქმედი და ვეტერანი ფეხბურთელების გვარებით ისე, რომ ფერად სვეტში მიიღოთ „ვიტალი დარასელია“.



კვირის

ტოტზე ალი ავიზიზდა,
ჩაქრა, განნდა ტყავის ქისა
უფვადივი ღარის თვიისა.

გიორგი წარეთელი

გაქოსაქაჰუჰელი

(ხალხური)

ვიეთ, ვე შენი ქებო
არა ვთქვა, არ იქნებო,
პურის ქაბაზე მარდი ხარ,
საქმეზე წელი გწყდებო.

ბიჭუ

საქართველოს ალკ კვ-ისა და ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ეურნალი უმცროს-კლასელთათვის.

გამოცემის 1987 წლიდან.
საქ. კვ-ის გამოცემლობა.

მთავარი რედაქტორი
ენვერ ნიშარბაძე

სარედაქციო კოლეგია: მღუბარე ამბროსიძე, ილია ანთელაძე, კუპარი გომიზაშვილი, სოლომონ დემურაშვილი, ლილია მარაძე, მანანა კობახიძე, გელა ლოსაბერიძე, გავაშლა შიშველიშვილი, ჯურაბე ნადირაძე, გიორგი რომინოვილი (სამხატვრო რედაქტორი), თენგიზ ხალაბური (პრ. მდივანი), გივი მთენიანი, მანანა ხაჩიძე.

ტექნიკური რედაქტორი
ენდი წერეთელი

მისამართი: რედაქციის, გამოცემლობის, სტამბის—თბილისი, ლენინის, 14. ტელ.: მთ. რედაქტორის 98-41-80, 98-98-15; პ/მგ მდივნის 98-10-82, 98-98-18; სახმ. რედაქტორის — 98-98-18; განყოფილებების: 98-98-18; 98-98-17.

გადაცემა ახაწეობად 9. IV, 84 წ., ხელმოწერილია დასაბუღად 10. VI. 84 წ., ქაღალდის ზომა 80×90^{1/16}. ფიგ. ნაბ. ფურც. 2,5, ტარაჟი 163000, შედგეობა № 847.

ყლაზე ნაბატო ჯამბალ ლოლუასი.

«Дила» («Утро»), ежемесечный журнал ЦК ЛКСМ Грузии и Грузинского Республиканского Совета Всесоюзной пионерской организации им. В. И. Ленина для младшеклассников, на грузинском языке.

Отпечатано в типографии издательства ЦК КП Грузии.
Главный редактор Энвер Нишарадзе (тел. 93-41-30).

Адрес редакции и издательства: 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Объем 2,5 печатных листа, тираж 163000. Заказ № 847.

6/68/94

მინაგასა
და
თანლილს ამოვი
მბაგბარი ელუბარო ამოთახე

თანლილს
საე ხარ

შინაგასა
ებტრხნა

თანლილს ფეხსა-
ვლი.
რეხე მტრეგმა,
ავაგაპეგმა
მოიხავეს
აენა ვაფველი.

ეს მიხაგასა არ
არის.

თანლილს ავაგაპეგის
აფროსს მიტგვარეს.

რეგ
გვესსხ-
რეტი.

თანსსველი
გაგვირეხე ყვირეს

ავაგაპეგის
შოშვეტი
გაწოლს
თაშოტრენე
ცაქსელთან

თანლილს ფაქტა
რახვას

დაილან, ფეხე
ქლივს იგა

ავაგაპეგმა
დაიქიწეს.
ფხაჭაწი
შოიგა.

კედელი ხველი გარენა და
მიხაგასა გაგორენა.

ნა გეუნიე
ვა ეპა
ვარ.

საწრაწოე აარიფე
ტანსსველი.

ავაგაპეგის
შოშვეტი დასოვეს

ხვალეში
მიიფალენა

სახლში
დავტრახნეთ
ანტათ
შელოეტიან

ნახვამილს.